ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5082483

ნომერი: AR1770021

თარიღი : 26.08.2020

გაცემის თარიღი : 27.08.2020

გაცნობის თარიღი : 27.08.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N70;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვალერი მიმინოშვილი პ/ნ 01015001043
- თბილისი ვ.გორგასალის IV შეს. N 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 26 აგვისტოს №AR1770021 განცხადებით მომართა ვალერი მიმინოშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2020 წლის

3 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №70-ში, შპს "სამედიცინო ინოვაციების ცენტრი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.13.01.010.089) საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 03 ივლისიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით.
სამსხურის 2020 წლის 5 აგვისტოს №5054699 ბრძანებით გასწორდა ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში (საერთო, საოფისე, საზაფხულო, სარდაფის, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, დამხმარე და ავტოსადგომის ფართობებთან დაკავშირებით, ამასთან სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში დაფიქსირებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატა კომერციული, პალატების და საორდინატოროს ფართობები). ასევე, ჩანაცვლდა გეგმები.
განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს გამორჩენილი შახტის ფართობის - 591.70 კვ.მ-ის დამატება, დამხმარე ფართობად 6958.84 კვ.მ-ის ნაცვლად - 7062.99 კვ.მ-ის და საერთო ფართობად 14655.09 კვ.მ-ის ნაცვლად 15350.94 კვ.მ-ის დაფიქსირება.
სამსახურმა გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ დადგენილ იქნა, რომ 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში შახტის ფართობი უნდა იყოს - 591.70 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 7062.99 კვ.მ., საერთო ფართობი - 15350.94 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს შახტის ფართობი 591.70 კვ.მ,, ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დამხმარე ფართობად დაფიქსირდეს - 7062.99 კვ.მ., საერთო ფართობად - 15350.94 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანებით შეთანხმებული -4.00, 0.00, +3.60, +7.20, +10.65, +14.10, +17.55, +21.00, +24.45, +27.90, +31.35, +34.35 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულების გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 3 ივლისის №5011092 და 2020 წლის 5 აგვისტოს №5054699 ბრძანებებთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.